ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი **25.09.2026 წელი**

11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ია მოქია, ვარლამ ჩხარტიშვილი, ბესიკ კვაჭანტირაძე, ლოლიტა ურუშაძე, თენგიზ ურუშაძე, ზაზა წულაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი ჩახვაძე, გოგი მორჩილაძე, თორნიკე მითაიშვილი.
მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე**.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ,“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე; 11 წინააღმდეგი: არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავას** განმარტებით, **მუხლი 1.** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
1. დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღემდე შეუსრულდა ან კენჭისყრის დღეს უსრულდება 25 წელი და საქართველოში უცხოვრია 6 თვე მაინც.“
2. დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ა.ვ) საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელეს მერიის თანამდებობის პირებისათვის, სხვა საჯარო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის, რაზეც

გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს – მერის ბრძანებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“-ა.გ“, „ბ.ა“ – „ბ.გ“, „დ.კ“, „ე.ვ“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ასევე მერის ის უფლებამოსილებები, რომლებიც კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს არ შეიძლება გადაეცეს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა საჯარო მოსამსახურეებსა ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს.“

3. დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახური;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური;

ე) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

ვ) შიდა აუდიტის სამსახური;

ზ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური;

თ) შესყიდვების სამსახური.“

4. ამოღებულ იქნეს დანართის მე-14 მუხლი. საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე; 9 წინააღმდეგი: 2 (ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი).

სხვადასხვა

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: **/გიორგი იმნაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N7

ქ. ლანჩხუთი **25.09.2026 წ.**

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ,“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი იმნაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

25.09.2026 წელი
11:30 საათი

N	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	11:25	
2.	თენგიზ ურუშაძე	11:30	
3.	ია მოქია	11:30	
4.	ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრება	
5.	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:30	
6.	ლოლიტა ურუშაძე	11:30	
7.	ზაზა წულაძე	11:25	
8.	გელა პატეიშვილი	არ ესწრება	
9.	ბესიკ კვაჭანტირაძე	11:30	
10	გოგი მორჩილაძე	11:30	
11	გიორგი ჩახვაძე	11:30	
12	ჯუმბერ ბლაგიძე	11:30	
13	თორნიკე მითაიშვილი	11:30	